

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს

დადგენილება №37

2012 წლის 28 ივნისი

ქ. ბათუმი

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასურის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ 2011 წლის 10 თებერვლის №8 დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულო ადგენს:

1. დადგინდეს თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასური შემდეგი საქმიანობების ტიპების მიხედვით:

ა) ჟურნალ-გაზეთები, წიგნები, ნახატები, სუვენირები და სხვა ხელნაკეთი ნივთები, ყვავილები – აღნიშნული ტიპის პროდუქციით დაკავებული ტერიტორიის 1 კვ.მ.-ის საფასური თვეში განისაზღვროს 5 ლარის ოდენობით;

ბ) ხილ-ბოსტნეული, ბაღჩეული, განთავსებული ვერტიკალურ სტელაჟზე, ნაყინი გამაგრილებელი და გაზიანი სასმელები მაღაზიის წინ – აღნიშნული ტიპის პროდუქციით დაკავებული ტერიტორიის 1 კვ.მ.-ის საფასური თვეში განისაზღვროს 5 ლარის ოდენობით;

გ) კვების პროდუქტები სპეცდანიშნულების საფირმო მოძრავი და/ან ადგილზე განთავსებული საშუალებები – აღნიშნული ტიპის საშუალებების მიერ დაკავებული ტერიტორიის 1 კვ.მ.-ის საფასური თვეში განისაზღვროს 6 ლარის ოდენობით;

დ) საზკვების ობიექტების წინ საზკვების დანიშნულების საქონელი შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით (მაგიდები, სკამები, საჩრდილობელი ქოლგები და ა.შ.) – დაკავებული ტერიტორიის 1 კვ.მ.-ის საფასური თვეში განისაზღვროს 3 ლარის ოდენობით;

ე) სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნაკეთობები და ამ ტიპის მომსახურების საშუალებები – აღნიშნული ტიპის საშუალებების მიერ დაკავებული ტერიტორიის 1 კვ.მ.-ის საფასური თვეში განისაზღვროს 5 ლარის ოდენობით.

ვ) გაზიანი, გამაგრილებელი სასმელები, წყლები და ლუდი – აღნიშნული ტიპის პროდუქციით დაკავებული ტერიტორიის 1 კვ.მ.-ის საფასური თვეში განისაზღვროს 15 ლარის ოდენობით;

ზ) ჯიხურები – აღნიშნული ტიპის პროდუქციით დაკავებული ტერიტორიის 1 კვ.მ.-ის საფასური თვეში განისაზღვროს 10 ლარის ოდენობით;

თ) ყველა სახის სწრაფი გადახდის ავტომატები და ატრაქციონები – აღნიშნული ტიპის პროდუქციით დაკავებული ტერიტორიის 1 კვ.მ.-ის საფასური თვეში განისაზღვროს 10 ლარის ოდენობით.

თვითმმართველი ქალაქი - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 12 ივლისის დადგენილება №38 - ვებგვერდი, 17.07.2012წ.

2. გარე ვაჭრობის უფლების საფასურის გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება ყოველი თვის დასაწყისში, საქმიანობის დაწყებისთანავე. გარე ვაჭრობის ადგილებით სარგებლო-ბისათვის გადახდილი საფასურის ვადის ამოწურვამდე ამ დადგენილების პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების შესაბამისად გარე ვაჭრობის უფლების საფასურის წინასწარ გადახდის შემთხვევაში გადახდის დღედ მიიჩნევა ანგარიშსწორების განხორციელების დღე, ხოლო მისი აქტივაცია (ვადის ათვლა) მოხდება წინა პერიოდის გარე ვაჭრობის უფლების საფასურის ვადის ამოწურვის შემდეგ.

3. გარე ვაჭრობის საფასურის გადახდა განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორებით და მიიმართოს ქ. ბათუმის ადგილობრივ ბიუჯეტში.

4. წინამდებარე დადგენილებით დადგენილი საფასურის ამოღებას ახორციელებს ქ. ბათუმის მერია. გარე ვაჭრობის ნებართვის საფასური ირიცხება შესაბამის სახაზინო კოდეზ.

5. დადგენილება ამოქმედდეს 2012 წლის პირველი ივლისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გ. კირთაძე

შეტანილი ცვლილებები:

1. თვითმმართველი ქალაქი - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 12 ივლისის დადგენილება №38 - ვებგვერდი, 17.07.2012წ.